დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის
გამოცემის ოცდამეშვიდე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა
572/1
1954/1
572/4

№ 1 იანვარი 1954

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინი

ეოველ იანვარს
ჩვენ დიდებით ვიგონებთ ლენინს,
ვინც გამოსწვდა
მშობლიური პარტია ჩვენი!

ვისი ცხოვრებაც
ქარიშხალში ზღვის ღელვას ჰგავდა,
ვინც გაზაფხულის მოსაყვანად
ებრძოდა ზამთარს!

ეოველ ცისმარე
ჩვენ მადლობით ვიგონებთ ლენინს,
მან დააარსა
უძლეველი სამშობლო ჩვენი!

მან აღასრულა
მამისა და ბელადის ვალი,
მან გააჩაღა ნაპერწკლიდან
ოქტომბრის ალი.

ის ცოცხალია,
ქამთა დენამ
ვერ მოჰკლა იგი!

არ შემცირდება აკლდამის წინ
მნახველთა რიგი!

ის დაასვენეს აკლდამაში
მისმა შვილებმა,
მისმა გმირებმა —
მისი სიბრძნით გამოზრდილებმა.

მას შემდეგ სამი ათეული
გაფრინდა წელი,
არ ეკარება დიად სახელს
სიკვდილის ხელი!

მას შემდეგ
იმავ აკლდამაში
დავუურებთ სტალინს...
მაგრამ გიზგიზებს
ნაპერწკლიდან აღმდგარი ალი;

გიზგიზებს იგი,
ეველგან მისი შუქი ანთია,
კომუნიზმისკენ
მიუკვიძღვება დიდი პარტია.

მურმან ლებანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ს. მიხალკოვი

ლენინის მუზეუმში

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

მოსკოვში ერთი სახლია
დიდი და გამოჩენილი,
ზედ აწერია ლამაზად
ძვირფასი სიტყვა:
ლ ე ნ ი ნ ი.

ეს მისი მუზეუმია,
აგერ. სურათზე ხატია.
შიგ მუდამ მზის ნათელია.
შიგ მუდამ განთიადია.

როცა დარბაზებს დაივლი,
ბევრი რამ დაგახსომდება,
სულ თვალწინ დაგეხატება
დიდი ბელადის ცხოვრება;

აი, ის სახლი, ლენინმა
სადაც ბავშვობა ატარა
და სადაც ქების სიგელით
შინ ბრუნდებოდა პატარა.

გიმნაზიელის წიგნები
თაროზე კოხტად აწყვია, —
მას ბევრჯერ გადაუკითხავს
და ფიქრებს გაუტაცნია.

ის ბავშვობიდან ფიქრობდა
და ოცნებობდა ამაზე,
რომ ბედნიერად ეცხოვრათ
მშრომელებს მთელს ქვეყანაზე.

დიდი ბელადის ლენინის
ცხოვრების გზას ვაკვირდებით,—
იზრდება ულიანოვი,
გზას უკაფავენ წიგნები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელი წელს მისდევს. დრო მიდის,
იცის, ბრძოლები ექნება,—
ის გატაცებით ესწრება
მუშათა ფარულ შეკრებას.



ჩვიდმეტის გახდა და მისი
მეფესაც კი ეშინია,
რადგან ის უშიშარია,
მებრძოლი ხალხის შვილია.

და, აი, გადაასახლეს...
მაგრამ კვლავ უკან ბრუნდება,
მუშათა კრებებს ატარებს,
მშრომელებს ესაუბრება...

* * *

კვლავ ციხე, გადასახლება,
ზამთარი მკაცრი, ხანგრძლივი.
ტაიგა, ცივი ციმბირი,
არც მოსვენება, არც ძილი;

ქოხში სინათლე ანთია,
დილამდე, ლამპრის ღიმილში
ახალ საბრძოლო ფურცელს წერს
უსაყვარლესი ილიჩი.

აი, ჩვენს წინ დევს დღიური
და დაკვირვებით ვუცქერით,
ხალხს საბრძოლველად ეძახის
მისი ყოველი ფურცელი.

* * *

სხვა დარბაზებსაც ვეწვიეთ,
ვნახეთ სწორედ ის კარავი,
სადაც მტრებს ემალებოდა
მებრძოლი დაუღალავი.

აი, მეთევზის ნიჩბები,
ცელი, ნაჯახი, ფოცხები,
გაკვირვებული ვუცქერით
და შორს მივდივართ ოცნებით.

წარსულს ვიგონებთ, მას შემდეგ
რამდენი წელი გავიდა.
თვალს ვერ ვაშორებთ ბავშვები
დიდი ლენინის ჩაიდანს.

რა ძვირფასია ლენინის
ნაქონი ნივთი ყოველი!
მისი ხელებით გამთბარი
და ჩვენთვის ბევრის მთხრობელი;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგერ, ის საწერ-კალამი,
ლენინს რომ ხელში ეჭირა,
დეკრეტს ხელს ამით აწერდა,
რომ ხალხი გადაერჩინა.

აი, საათი, რომელსაც
ის ჯიბით დაატარებდა,
მას ენდობოდა და არსად,
არასდროს აგვიანებდა.

აი, ქუდი და მაზარა,
ქუდზე ვარსკვლავიც აშუქებს,—
მას, როგორც პირველ კომისარს,
არმიელებმა აჩუქეს.

სამოქალაქო ომის დროს
მტერმა რომ ჯარი შეჰყარა
და საფრთხე ემუქრებოდა
დიად საბჭოთა ქვეყანას,—

ფრონტზე გზავნიდა დეპეშას
და სტალინს სწერდა ბარათებს...
ყველგან ძვირფასი ილიჩის
ხელით ნაწერი ანათებს.

* * *

გაივლის წელი მრავალი,
იცოცხლებს მისი სახელი,
ლენინს კვლავ მოიგონებენ
სვებედნიერი ხალხები.

მოვა მრავალი თაობა
და მათაც დაახსომდებათ
ბრძოლით და შრომით გავლილი
დიდი ლენინის ცხოვრება.

ის ბავშვობიდან ფიქრობდა
და ოცნებობდა ამაზე,
რომ ბედნიერად ეცხოვრათ
მშრომელებს მთელს ქვეყანაზე.

მონობა არ ყოფილიყო,
ხალხს არ ჰყოლოდა ბატონი,
რომ გამხდარიყო მშრომელი
თავისი ქვეყნის პატრონი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინმა ქვეყნად მოჰფინა
დიდი მზე ჩაუქრობელი,
წითელ დროშის ქვეშ დარაზმა
მსოფლიოს ყველა მშრომელი.

* * *

აი, ლენინის მაგიდა,
ვხედავთ მის ლამპარს, სავარძელს;
ჩვენ ვიცით, ეს ყველაფერი
კრემლში რომ ეწყო მრავალ წელს.

მაგიდა ისევ ისე დგას,
მასზე ლენინი შრომობდა,
ლამეს ათევდა, რომ მშრომელს
ტკბილი სიცოცხლე ჰქონოდა.

ამ მაგიდასთან ლენინი
სტალინთან ბჭობდა მრავალჯერ;
მათ ხალხის საკეთილდღეოდ
ბევრი საკითხი გადაჭრეს.

აი, სურათი ჰკიდია
კრემლიდან გადმოტანილი:
ერთად არიან ძვირფასნი—
დიდი ლენინი, სტალინი.

როცა ამ სურათს უცქერი,
გული სიამით შუქდება,—
დიდი ლენინი დიდ სტალინს
ღიმილით ესაუბრება.

ერთმანეთს შესჩერებიან
მათი თვალები მზიანი,
ხალხისთვის ფიქრობს, ოცნებობს
ეს ორი ადამიანი.

* * *

პატარა ლენინელები
ალალ-მართალი გულებით
ერთად ეწვივნენ მუზეუმს
დროშის ქვეშ დარაზმულები.

უცბად გაისმა დარბაზში
უკვდავი ფიცის სიტყვები:
„როგორიც იყო ლენინი, —
ჩვენც ისეთები ვიქნებით!

სამშობლოს ვემსახურებით,
მის საქმეს შევეწირებით
დიდი სტალინის გაზრდილნი,
ლენინის ქვეყნის შვილები!"

გადმოაქართულა **რევაზ მარგიანმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი მეგობარი

აკაკი ბელიაშვილი

ნახატები
გ. ფოცხიშვილისა

დილით თამაზი პირს იბანდა სასტუმროში, როდესაც ტელეფონმა დარეკა. ბიძამისი უკვე წასული იყო თავის საქმეებზე, ამიტომ თამაზმა პირის ბანას თავი ანება და ტელეფონთან მივარდა.

— გისმენთ! — ჩასძახა მან მილში.

— თამაზ, ეს შენა ხარ? — მოისმა პეტიას ხმა, — დღეს ჩვენ მივდივართ მოსკვა-რეკას დასათვალიერებლად. ერთ საათში მოვალთ შენთან მე და ჩემი ამხანაგები ჩვენი პიონერრაზმიდან და მზად დაგვხვდი.

— კარგი!

თამაზმა მილი დადო და გაექანა პირისაბანისაკენ. ისეთი ფუსფუსით შეუდგა პირის ბანას, ისე გამალებით იშხაპუნებდა წყალს პირისახეზე, თითქოს ეშინოდა, არ მოესწროთ და პირდაუბანელი არ ენახათ.

პირი დაიბანა, მერე სწრაფად დალია ჩაი და მოუთმენლად დაუწყო ლოდინი პეტიას და მის ამხანაგებს.

კარზე კაკუნი გაისმა.

— მობრძანდით! — დაიძახა თამაზმა და გაექანა კარის გასაღებად.

ოთახში რამდენიმე პიონერი შემოვიდა, მათ შორის ორი გოგონა იყო.

— გაიცანი, თამაზ. ალბათ, ყველას გვარი და სახელი გეცოდინება. ესენიც ხომ აწერდნენ ხელს ჩვენგან გამოგზავნილ წერილებს. ეს არის რაისა დანილინა. ამისმა მფრინავმა მოდელმა საკავშირო რეკორდი აიღო.

თამაზმა თავაზიანად დაუკრა თავი გოგონას და ხელი ჩამოართვა.

— ეს გახლავთ ირინა პეტროვა, — მიუთითა მეორე გოგონაზე პეტიამ, — მოზარდი ასაკის გოგონებში კარგი ტანმოვარჯიშეა. ეს ამხანაგები კი, — მიუთითა სამ პიონერზე პეტიამ, — კოლია დუბოვი, ვიტია ოგაროვი და სამედ ბაბაევი — რადიომოყვარულები არიან.

— სასიამოვნოა, — თქვა თამაზმა, — დაბრძანდით, ამხანაგებო, და ნება მომეცით, ჩვენებური ხილით გაგიმასპინძლდეთ.

სტუმრები მაგიდას შემოუსხდნენ. თამაზმა ამოალაგა ხილი, ლეღვის ჩირი, ჩურჩხელები და მაგიდაზე დააწყო.

— ასეთები თქვენში მართლა ხეზე

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „დილა" №№ 10, 11, 12 1953 წ.

იზრდება? — ჰკითხა რაისამ და ჩურ-ჩხელეებზე მიუთითა.

დანარჩენებმა სიცილი დააყარეს.

— ძლიერ გემრიელია, — ამბობდნენ სტუმრები და მადიანად შეექცეოდნენ.

— ახლა წავიდეთ. — თქვა პეტიამ, — თორემ დაგვაგვიანდება. სრულ თერთმეტ საათზე ხიმკის ნავსადგურში შემოვა თბომავალი „იოსებ სტალინი“.

ყველანი წამოიშალნენ. თამაზმა სასტუმროს ოთახის გასაღები სართულის მორიგეს ჩააბარა და ქუჩაში გავიდნენ. იქ, ხიმკის ნავსადგურისაკენ მიმავალ ტროლეიბუსში ჩასხდნენ და გზას გაუდგნენ.

თამაზი ფანჯრიდან ათვალიერებდა განიერ ქუჩებს, მრავალსართულიან სახლებს. გზა ძლიერ გრძელი აღმოჩნდა. სანამ სადგურამდე მივიდოდნენ, დაახლოებით ოცდაათზე მეტი გაჩერება გაიარეს. ბოლოს გამოჩნდა ხიმკის დიდი და გრძელი ვაგზალი, შუაში მას მაღალი წვეტი ამშვენებდა.

ყმაწვილებმა იყიდეს პერონის ბილეთები და მაღალი, მარმარილოთი მოპირკეთებული დარბაზების გავლით ბაქანზე გავიდნენ.

გამოჩნდა საოცრად განიერი მდინარე მოსკვა-რეკა. სანაპიროს გასწვრივ ჩამწკრივებული იყვნენ სხვადასხვა ზომის გემები.

— ეს ჩვენი მოსკვა-რეკა ახლა ხუთ ზღვას აერთებს! — უთხრა პეტიამ თამაზს. — აი, ახლა, აქ, გემში რომ ჩაჯდე, შეგიძლია მოხვდე ბალტიის ზღვაში, ჩრდილოეთის თეთრ ზღვაში, სამხრეთის შავ ზღვაში, აზოვისა და კასპიის ზღვებში.

თამაზს მარტო სურათზე ენახა სამდინარო გემები და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა მათ სილამაზეზე. აქ იყო პატარა, სწრაფი, სპორტული კატერები; შუაზომის სამდინარო გემი-ტრამვაები; დიდი, შორს სამგზავრო თბომავლები. ბოლოს შორიდან მოისმა საყვირის გაბმული გუგუნი და მალე ნაპირს მოუახლოვდა უზარმაზარი გემი, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა „იოსებ სტალინი“. გემბანზე გადმომდგარიყვნენ მგზავრები და დამხვდურებს ცხვირსახოცებს უქნევდნენ.

გემი ნელა მიადგა ნაპირს. ისმოდა მისი მანქანების ყრუ ხმაური. ხანგამოშვებით გაისმოდა ძახილი:

— ოტდაიჰ კონცი!

ეს მეზღვაურული გამოთქმაა, ქართულად იქნება: „მომაწოდე ბოლოები“ და ნიშნავს იმას, რომ ნაპირზე მდგარი ლოცმანი უძახის გემზე, მსხვილი თოკის ანუ ბაგირის ბოლოები გადმომიგდეთო.

მართლაც, გემიდან მალე ისროლეს მსხვილი ბაგირები, ნაპირზე მენავეებმა ეს ბაგირები საგანგებო რკინის დიდ სვეტებზე შემოახვიეს და გემი დააბეს. მერე გემის გვერდიდან დაუშვეს კიბე და მგზავრებმა დაიწყეს ჩამოსვლა.

— ჩვენ ახლა გემ-ტრამვაიში ჩავსხდეთ და მოსკვა-რეკაზე გავისეირნოთ, კრემლთან გაჩერებაზე გადმოვიდეთ და იქიდან სულ ახლოს არის თამაზის სასტუმრომდე. — თქვა პეტიამ.

ყველა სიამოვნებით დაეთანხმა. სალაროში ბილეთები იყიდეს და მაშინვე გაემართნენ ერთი პატარა გემისაკენ.

— აი, ეს არის ჩვენი სამდინარო ტრამვაი! — უთხრა პეტიამ თამაზს, — როგორ მოგწონს?

გემის ბაქანზე, შესასვლელთან, ახალგაზრდა მეზღვაურმა მათი ბილეთები გასინჯა და ბავშვები გემის ქიმისაკენ გაემართნენ. იქ გრძელი მერხები იდგა, საიდანაც მთელი მიდამო მოჩანდა.

— მოდით, გემი დავათვალიეროთ! — თქვა რაისამ, — თამაზს, ალბათ, აინტერესებს.

ამხანაგები დაეთანხმნენ რაისას და შეუდგნენ დათვალიერებას; გემის წინა ნაწილში კიბე ძირს ჩადიოდა, მოზრდილ დარბაზში. იქ, მარჯვნივ და მარცხნივ,

ჩამწკრივებული იყო რბილი სავარძლები. გემის კიდეებზე კი ბროლისმინიანი ფანჯრები ჩაუყვებოდა. ზოგი ფანჯარა ღია იყო და შეიძლებოდა ფანჯრიდან წყალსაც კი მისწვდომოდი.

— ახლა გემის მეორე ნაწილი ვნახოთ!

მათ ვიწრო დერეფნით ჩაუარეს გემის სამანქანო ნაწილს. აქ მრგვალი ფანჯრიდან დაინახეს გემის საკმაოდ მძლავრი მანქანები. მემანქანე უკვე ამუშავებდა ძრავს და რაღაც სახელურებს ატრიალებდა. გაისმა შეწყობილი დაგადუგი და გემი ნელა მოსცილდა ნაპირს.

უკანა ნაწილშიაც, ქვემოთ, ასეთივე კრიალა დარბაზი იყო, ტყავგადაკრული რბილი სავარძლებით. თვალს აოცებდა საოცარი სისუფთავე. კედლები და იატაკიც ისეთივე სუფთა და კრიალა იყო, როგორც მინები.

ბავშვები სავარძლებში ჩასხდნენ და იქიდან გასცქეროდნენ მდინარე მოსკვარეკას ნაპირებს. მდინარეზე მიდიოდნენ უზარმაზარი სატვირთო ბარჟები. ეს ბარჟები მიჰყავდათ პატარა საბუქსირო გემებს. აქა-იქ ახალგაზრდა სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სანაოსნო სპორტში და ძელივით ვიწრო ნავებზე ციყვებივით დამსხდარნი გულმოდგინედ უსვამდენ ნიჩბებს.

მალე გამოჩნდა მოსკოვის უნივერსიტეტის ცაში ატყორცნილი მრავალსართულიანი შენობა. მდინარემ მარცხნივ მოუხვია, ჩვენს მგზავრებს თავზე გადაუარა ხიდმა, რომელზედაც მიქროდა მატარებელი.

რამდენიმე ხნის შემდეგ მათ გაიარეს იმ ხიდის ქვეშ, რომელზედაც დაქრის მეტრო.

— ზოგან მეტრო მდინარის ქვეშ გადის, — უთხრა პეტიამ თამაზს, — მარტო აქ გააკეთეს ასე, რომ მეტრო მდინარის თავზე გადადის. აი, შეხედე, მეტროს მატარებელი მიდის ხიდზე.

თამაზმა აიხედა და სწორედ იმ დროს, როდესაც მათი გემი ხიდს დაუახლოვდა და ქვეშ უნდა გამძვრალიყვნენ, ხიდზე გაიელვა მეტროს მატარებელმა, რომელიც ისევ გვირაბში მიიმალა.

— აი, ახლა შეგიძლია თქვა, რომ შენს თავზე გემსაც გადაუვლია, როდესაც შენ მიწისქვეშა მატარებელში მჯდარხარ და მატარებელსაც, როდესაც გემში ზიხარ. თითქოს ზღაპარში ვიყოთ, არა? — უთხრა პეტიამ თამაზს.

— მართლაც, ეს ყოველივე რაღაც ზღაპრულია. — დაეთანხმა აღტაცებული თამაზი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაწაწინა მაყვალა

ბებო უზის კერიას,
ფისო თათებს ისველებს,
ცხვრები პალახს ელიან,
პაპა ტახტზე ისვენებს.
თოვლმა შარა დაჰფარა,
კარს მოგვადგა ზამთარი;
მამამ თოფი გაწმინდა,
გარეთ ყურშაც მზად არის.
აშიშინდა შეშა და
ნაკვერჩხალი დაყარა.
ბებოს ასე მიმართა
პაწაწინა მაყვალამ:
ცხვარს თივას მე მივუტან,
შენ ნუ გამიცივდები;
დამიქსოვე, გეთაყვა,
საახალწლოდ წინდები.

ჯანსულ ჩარკვიანი

თოვლის კაცი

შეუერთდა თინა ტოლებს:
მზიას, ნანის, გოგის, რეზოს;
გააჩაღეს გუნდაობა,
მოირბინეს მთელი ეზო.
ბოლოს ტოლებს უთხრა თინამ:
— რად დავრბივართ ახლა ამდენს?
გავაკეთოთ თოვლის კაცი,
მართლა ნამდვილ კაცს რომ ჰგავდეს.
დატრიალდა ხელად ყველა,
თოვს და მაინც არვის სცივა.
ციდან თეთრი პეპლებივით
მოფარფატე თოვლი ცვივა.
თოვლი ცვივა, თოვლი ცვივა
ლამაზად და თვალწარმტაცად:
თოვლის კაცი? პატარები
თვითონ იქცნენ თოვლის კაცად.

ანზორ აბულაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუ დასცინი სხვასაო

ყური მოვკარ, გივი დათას
დასცინოდა ამ დილით:
— ყურებიან ქუდს იხურავ,
მცივანა ხარ ნამდვილი,
ეგ ქუდი რომ დამახურონ,
გადავაგდებ მაშინვე;
მერე რა, რომ ზამთარია,
ყინვა როგორ გაშინებს?!
მე კი ახლა, რომ მინდოდეს,
გადავცურავ ალაზანს;
ქუდი უნდა ქუდსა ჰგავდეს,
დაიხურო ლამაზად.
— ამ ქუდს რისთვის შემოუჩნდი,
კარგიც არის, ლამაზიც;
შენ კი სხვაგან იტრაბახე
გადაცურვა ალაზნის.
მე ხომ გიცნობ, რა ბიჭიც ხარ,
რას გასცურავ, რითაო?!
თურმე პირსაც დილაობით
იბან თბილი წყლითაო!

ზაქარია შერაზადიშვილი

ჩვენი ნიკო

გამოვარდა აივანზე
ნიკო დილაადრიანად,
აუსრულდა სანატრელი,
აღარ არის დარდიანად.
დაავიწყდა შემოდგომა
წითელ-ყვითლად დახატული,
როცა ნახა მთელი ეზო
თეთრი თოვლით დაფარული.
ჩაირბინა ძირს და ეზოს
სიხარულით გადახედა,
წამოავლო ნიჩაბს ხელი
თოვლის პაპის ასაგებად.
გამალებით შრომობს ნიკო
წითლად სახეალეწილი,
რადგან კარგად დაისწავლა
დღევანდელი გაკვეთილი.

ლადო მრელაშვილი

ნახატი რ. სუსქირიძისა

ი. ჭაიცი

ნახატები გ. როინიშვილისა

ოქროს ისრები

ლენა მოსკოვში ცხოვრობს. ის ჯერ კიდევ პატარაა, ბადეშემოვლებულ საწოლში იძინებს ხოლმე. საწოლის თავთან კი კალენდარი ჰკიდია და მამა ყოველდღე თითო ფურცელს ახევს კალენდარს. ერთხელ ლენამ მამას ჰკითხა:

— მამა, სულ რატომ ჩამოხიე ფურცლები? უყურე, ერთი ღა დარჩა.

— არა უშავს, — უპასუხა მამამ, — მალე ახალი წელი დადგება!

— ახალი? — გაიკვირვა ლენამ, — ძველს რაღა დაემართება?

— არაფერი. წავა და მორჩა.

ლენას უნდოდა ენახა, როგორ წავიდოდა ძველი წელი. მან მიირბინა ფანჯარასთან, მაგრამ ფანჯრის მინები ყინულით იყო მოხატული. ლენამ მიადო ტუჩები შუშას და დაორთქლა. ყინული ჩამოდნა და ლენამ დაინახა კრემლის ქონგურები და ყველაზე მაღალ კოშკზე ოქროსისრებიანი საათი.

— ვიცი, ეს არის მთავარი საათი. ხომ მამა?

— რა თქმა უნდა! — მიუგო მამამ.

— ამ საათით დედამიწის ზურგზე მთელი ხალხი იგებს ზუსტ დროს, ხომ მამა?

— რა თქმა უნდა! — დაეთანხმა მამა.

— ახალი წელი როდის ღა მოვა?

— როგორც კი ოქროს ისრები ერთად შეიყრებიან! — თქვა მამამ.

ლენა დიდხანს ელოდა, მაგრამ ისრები არ ერთდებოდნენ. ამ ხნის განმავლობაში ფანჯრის მინები ისევ დაიფარა ყინვით.

— მამა, ვინ მოხატა ფანჯრები?

— თოვლის ბაბუამ!

— რომელმა თოვლის ბაბუამ?

— განა შენ არ იცი? — თქვა მამამ — შორს, ტყეში, ყინულის სასახლეში ცხოვრობს თოვლის ბაბუა... ქურქიანი, წვერებიანი, ჯოხით ხელში.

— ჯოხით? — გაიმეორა ლენამ, — მაშ, ბრაზიანი ყოფილა!

— არა! — გაეცინა მამას. — ძალიან კეთილია. ყოველ წელს საჩუქრებით ეწვევა ხოლმე ბავშვებს.

— ჩემთანაც მოვა? — შეეკითხა ლენა.

— მოვა, თუ კარგად მოიქცევი.

— მაშ, მეც კარგად მოვიქცევი! — შეჰპირდა ლენა.

და, აი, ლენაც კარგად იქცეოდა. ყველაფერს ჭამდა, უფროსებს უჯერებდა, კბილებს იწმენდდა.

ერთხელ, როდესაც მამა შინ არ იყო, გაიღო კარი და ოთახში შემოვიდა... თოვლის ბაბუა!

ლენამ მაშინვე იცნო. როგორც მამამ უთხრა, თოვლის ბაბუას ქურქი ეცვა, წვერებიანი იყო და ხელში ყავარჯენი ეჭირა. მან დააკაკუნა და ბოხი ხმით თქვა:

— გამარჯობა, ლენა-გოგონავ! კარგად რომ იქცეოდი, საჩუქრად ჩემი ტყიდან კარგი ნაძვის ხეც მოგიტანე.

თოვლის ბაბუა ნაძვის ხის დასადგმელად დაიხარა; ამ დროს ქურქის კალთები გადაეხსნა და ლენამ მამის ლურჯი შარვალი და ყვითელი ფეხსაცმელები იცნო.

მან დაიწყო ხტუნაობა და შესძახა:

— ეს რა თოვლის ბაბუაა! ეს ხომ მამაა!

— უყურე ამას, როგორი თვალმარჯვეა! — გაეცინა მამას. — მაინც მიცნო!

— შენ კი არა, შენი ფეხსაცმელები ვიცანი! — იცინოდა ლენა.

მას გაეხარდა, რომ თოვლის ბაბუა მამამისი აღმოჩნდა, მაგრამ მაინც ძალიან უნდოდა ნამდვილი თოვლის ბაბუა ენახა, რომელიც ყინულის სასახლეში ცხოვრობს.

და, აი, მეორე დღეს მამამ ლენა უზარმაზარ, გაჩირაღდნებულ სვეტებიან სასახლეში წაიყვანა. იქ ნელნელა ტრიალებდა ელნათურებით განათებული ნაძვის ხე. მის ქვეშ კი იდგა თოვლის ბაბუა და სასწაულებს ახდენდა: დაჰკრავდა ფეხს და რუხი მგელი მოვარდებოდა, ხელთათმანს დაიქნევდა — ოქროსნისკარტიანი ფასკუნჯი მოფრინდებოდა.

გახარებულმა ლენამ ნაძვის ხეს შემოურბინა; იქ კარგა ხანს იმხიარულა. ქუჩაში ღამით გამოვიდნენ, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი გაჩაღებული მოედანზე, ღია ცის ქვეშ, იდგა ნაძვის ხე, რომელსაც ბარაქიანად ათოვდა. ნაძვის ხესთან კი თოვლის ბაბუა ოხუნჯობით ამხიარულებდა ხალხს. მთელი მოსკოვი ბრწყინავდა, ყველგან ნაძვის ხეები იდგა და თვითეულს თავისი გამრთობი მხიარული თოვლის ბაბუა ჰყავდა.

შინ მისვლისას ლენამ იკითხა:

— მამა, რომელია მათ შორის ნამდვილი თოვლის ბაბუა?

— ისინი ყველანი ნამდვილი ბაბუები არიან! — მიუგო მამამ.

— არა, მე იმაზე გეკითხები, რომელიც ტყეში ცხოვრობს, ყინულის სასახლეში. გახსოვს, შენ რომ მიამბობდი?!

— ტყეში? — გაიკვირა მამამ, — რას ამბობ, ლენა? ეს ხომ ზღაპარი იყო!

— ზღაპარი?..

— რა თქმა უნდა! ცხოვრებაში ხომ უფრო უკეთესია, ვიდრე ზღაპარში. ხედავ, ირგვლივ რა სიხარულია, რამდენი ნაძვის ხეა, რამდენი თოვლის ბაბუა!

— მართლაც, უკეთესია! — დაეთანხმა ლენა, — ზღაპარში მხოლოდ თოვლის ერთი ბაბუაა, ჩვენთან კი, უჰ, რამდენია!

ლენა ჩაწვა ბადეშემოვლებულ საწოლში და ტკბილად დაიძინა.

მის თავზე კი, მოყინული ფანჯრების იქით, ნელა მოძრაობდნენ ოქროს ისრები, სწორედ ისინი, რომლითაც ყველა ხალხი მთელი დედამიწის ზურგზე იგებს ზუსტ დროს.

თარგმნა **ნ. თოუჩიშვილმა**

თამარ ჩხაიძე

ნახატები რ. სვერდლოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

ზღაპარი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ღარიბი ბიჭი. ლატაკას ეძახდნენ იმ ბიჭს მეტსახელად. დედ-მამა ჰყავდა, მაგრამ ბატონისთვის შრომობდნენ ისინი: დათესავდნენ, მოიყვანდნენ მოსავალს, — „ჩემიაო!“ — ეტყოდა ბატონი და კარზე ურმებს მიაყენებდა. დაართავდა ლატაკას დედა მატყლს, მოქსოვდა საჩოხეს და წინდებს, — „ჩემიაო!“ — ეტყოდა ქალბატონი და ჩამოართმევდა.

ერთ დღეს ბატონმა წაართვა ლატაკას მშობლებს ქოხი და ყველანი გარეთ გაყარა. შიმშილ-სიცივეში დაეხოცა ლატაკას მშობლები, დარჩა ლატაკა ობლად.

საცხოვრებლად ულრან ტყეს შეეფარა. ზაფხულობით თხილის ძირში ეძინა და თხილით იკვებებოდა.

მაგრამ ბატონის მოურავმა ერთ დღეს ტყავი გააძრო, როგორ თუ ბატონის თხილს შეექცევიო და დაემუქრა: თუ კიდევ შეგისწარი, ვაი, შენი ბრალიო!

ჩაფიქრდა ლატაკა. იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა: ჩამარხა მიწაში ერთი თხილი, შემოაკავა წნელით და დაუწყო ლოდინი. ვნახოთ, მეორე დილით პაწია მწვანე ტოტი შეეგება შრიალით:

— ნუ გეშინია, ლატაკავ, ჩქარა მოგესწრები! — უთხრა და ლოყაზე ალერსით ქორფა ფოთლები შეახო.

მართლაც, სწრაფად იზრდებოდა თხილი; ჯერ მუხლამდე, შემდეგ წელამდე, და ერთ თვეში ლატაკას გაუტოლდა.

მაგრამ ერთ დღეს საჩიჩილაკე ხის საძებნად მივიდა ტყეში მოურავი და ლატაკას თხილს ცული მოუქნია.

— თქვენი ჭირიმე, ნუ მოჭრით, ჩემი დარგულია! — შეევედრა ლატაკა.

— მიწა შენ ვინ მოგცა, ბატონის მიწაზე ამოსული ხე ბატონისა არის. — თქვა მოურავმა, მოჭრა თხილი და ბატონთან გააქანა.

ატირდა ლატაკა, ისე მწარედ ატირდა, რომ ცას ეწია მისი გოდება.

— ბედის ვარსკვლავიც კი არ დაჰყოლია ამ უბედურს! — ჩაილაპარაკა ტყეში ფიჩხის საძებნად მოსულმა დედაბერმა და ცრემლები თავსაფრის ყურით შეიმშრალა.

— როგორ თუ არ დაჰყოლია! — მოესმა დედაბერს ხმა ზევიდან. აიხედა დედაბერმა და ნახა: ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავი მზესავით ანათებდა.

ალბათ, ციდან ჩამოვარდა! — გაიფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დედაბერმა, მაგრამ ვარსკვლავი ფიქრს მიუხვდა:

— მიწიერი ვარსკვლავი ვარ, დიდედა! ხალხმა გამომჭედა! — უპასუხა და გაფრინდა.

* * *

ღატაკას თხილი უკვე ჩიჩილაკად გაეთალათ. ბურბუშელის კულულებით და ფოჩიანი კანფეტებით დაემშვენებინათ, წვერში ღვეძელი გაერჭოთ და ბატონის დარბაზში უნდა შეეტანათ. ბატონი კი დაჟანგულ დამბაჩას ახალი წლის შესაგებებლად ჩახმახს უსინჯავდა, როცა ციმციმა ვარსკვლავი მოფრინდა, ჩიჩილაკის კენწეროზე დაჯდა და ფეხი აადგმევინა.

— ვიაროთ, ჩიჩილაკო, ვინც დაგრგო, — ის გავახაროთ! — მიიმღეროდა გზადაგზა ვარსკვლავი და ულრან ტყეში ღატაკას დაეძებდა.

ბევრი იარა თუ ცოტა, ბოლოს იპოვა ტირილით გულამომჯდარი ღატაკა.

— რა გატირებს? შენი მზე ამოდის! — უთხრა ვარსკვლავმა, ჩიჩილაკი ღატაკასაკენ გადახარა, და ღვეძელი მიაწოდა.

მოკბიჩა ღატაკამ ღვეძელი და სიამისაგან გულზე ხელი მიირტყა: უჰ, უჰ, რა გემრიელია!

— დახუჭე თვალი, გააღე პირი! — უთხრა ვარსკვლავმა ღატაკას.



დახუჭა თვალები, გააღო პირი ღატაკამ, ჩიჩილაკი გადაიხარა და კანფეტი ჩაუდო პირში.

უჰ, უჰ, რა გემრიელია, — შესძახა ღატაკამ, მაგრამ თვალი არ გაახილა, რადგან ვარსკვლავმა გააფრთხილა: ვიდრე სამამდე არ დავითვალო, თვალი არ გაახილოო და თვლას შეუდგა: — ერთი, ორი...

— სამი! — წამოიძახა ვარსკვლავმა

ღატაკამ თვალები გაახილა და ნახა: ნაირნაირი სათამაშოებით მორთულ-მოკაზმული და გაჩირაღდნებული ნაძვის ხე. იქვე იდგა გრძელ წვერულვაშა თოვლის პაპა, კენწეროდან კი ხუთქიმიანი ვარსკვლავი უღიმოდა.

— ამიერიდან ნაძვის ხესთან მოილხინე. — უთხრა ღატაკას და აციმციმდა.

გაიქცა ღატაკა ტოლებთან. სოფელი ქოხდაქოხ შემოიარა და ჩქარა ტყე ბავშვების მხიარულმა ჟივილ-ხივილმა აავსო.

გარიჟრაჟამდე იზეიმეს მათ ნაძვის ხესთან: იცეკვეს, იმღერეს, ზღაპრებს მოჰყვნენ. დასასრულს თოვლის პაპამ ბავშვებს საჩუქრები დაურიგა.

ინათა, ვარსკვლავები ცაზე ქრებოდნენ.

ეჰ, ახლა ესეც გაფერმკრთალდება და გაგვშორდება, არც ნაძვის ხე გვეღირსება თავის დღეში, არც სიხარულიო. — გაიფიქრეს ბავშვებმა

— ნუ დარდობთ, ბავშვებო, განა მხოლოდ ნაძვის ხე მოგიტანეთ, ბატონებს მიწა-წყალი ჩამოვართვი და ღატაკებს გადავეცი: დახნავენ, დათესავენ და მომკიან. ბედნიერი და თავისუფლები სიხარულით შეხვდებით ყოველ ახალ წელს. მაგრამ არ იფიქროთ, რომ ბედნიერება მარტო ღვეძელისა და კანფეტების ჭამას ნიშნავს, ცოდნით უნდა გამდიდრდეთ! — თქვა ვარსკვლავმა და ბავშვებს გაუღიმა.

ვინ მოსთვლის, რამდენ ღატაკასნაირ ბავშვს მოუტანა სიხარული და ბედნიერება ხუთქიმიანმა ვარსკვლავმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზრიანი ყვავი

რუსული ხალხური ზღაპარი

ნახატები ზ. ლეჟავასი

მშიერი ყვავი ტაიგაში დაფრინავდა. იფრინა, იფრინა და დაინახა: ხეზე კოდალა ზის. „მოდი, ცოტას დავისვენებ“ — გაიფიქრა ყვავმა და კოდალას გვერდით ტოტზე შემოჯდა.

უცებ ხმელი ტოტების ტკაცანი მოესმათ, ჩაიხედეს დაბლა და, მართლაც, ტყეში უცხო კაცი მოდის. იგი ზღვის ნაპირიდან ტაიგაში მოძვრება.

—ეს ვინ არის? მეგ-გ-გობარია, თუ მტერ-რი? — ეკითხება ყვავი კოდალას.

— მტერია, მტერი! — უპასუხა კოდალამ.

ყვავმა უცხო კაცს იქიდან შემოუფრინა, საიდანაც მზე ანათებდა და სახეში ჩახედა.

— ა-ა-აჰ!—დაიჩხავლა მან:—ეს ამერიკელი ვაჭარია, კვლავ ბეწვეულისათვის მოსულა ტაიგაში. უნდა ვუთვალთვალოთ, ეს მტერია!

ყვავი ფრენით გაჰყვა უკან უცხო კაცს.

ძლივს გააღწია ამერიკელმა საცალფეხო გზით ტყიდან და ბაბუა მონადირის კარავში შევიდა.

ბაბუა ცეცხლთან იჯდა და ირმის ხორცს ხარშავდა.

— დაბრძანდი, დაისვენე. ახლავე მო-

იხარშება ხორცი და გაგიმასპინძლდები. — უთხრა სტუმარს.

ვაჭარი ცეცხლს მიუჯდა. ყვავი კი კარავთან მაღალ ნაძვზე ჩამოჯდა და დაბლა დაიწყო ცქერა.

უკვე გამზადდა ქვაბში კერძი. ბაბუამ ხორცი ამოიღო, უკეთესი, მსუქანი ნაჭერი ამოარჩია და სტუმარს მიაწოდა. მეორე ნაჭერი თავისთვის დაიტოვა.

დანაყრდნენ. ბაბუამ ძვალი ნაძვის ძირში გაისროლა. დაე, მხეცებმა გამოხრანო ამერიკელმა კი თავისი გამოხრული ძვალი ცეცხლში ჩააგდო: დაე, დაიწვასო.

— დახე! ძუნწი! — დაიჩხავლა ყვავმა.

— მიჩვენე, ბაბუა, რა და რა მხეცი მოკალი და რა ტყავები გაქვს. — უთხრა ვაჭარმა

მოხუცმა მონადირემ ტყავები ამოალაგა, ერთიმეორეზე უკეთესი და ძვირფასი: აქ იყო ყარყუმი, წავები და თეთრი მელიები.

— კარგია, კარგი! ყველას ვიყიდი; შენს საქონელში ჩაისა და თამბაქოს მოგცემ. — თქვა ამერიკელმა და თავის გემისაკენ წავიდა. ყვავი ფრენით უკან გაჰყვა, თვალს ადევნებდა.

ვაჭარი მიდის და ფიქრობს, თუ როგორ მოატყუოს მოხუცი მონადირე. წამოიღო ჩაი, თამბაქო, გზაში მოაგროვა ყვითელი ხავსი და თამბაქოში ჩაყარა, ჩამოცვენილი ფოთლები აკრიფა და ჩაიში აურია.

— მატყუარა, ქურ-რ-რდი! — დასჩხავის ყვავი.

ვაჭარს აზრადაც არ მოსვლია, თუ ყოველ მის ნაბიჯს ყვავი უთვალთვალებდა.

ამერიკელი კი დაბრუნდა კარავში და მოხუცს უთხრა:

— აიღე საფასური. მხოლოდ მე იმაზე მეტი მოგიტანე, რამდენიც გერგებოდა. შენც ტყავები უნდა დამიმატო.

მოხუცმა ტყავები ცალ ხელისგულზე დაილაგა. ჩაი და თამბაქო — მეორეზე და აწონა. ამერიკელმა საქონელმა გადასძლია და ბაბუამ ათი თეთრი მელიის ტყავი დაუმატა.

ვაჭარმა ტყავები ტომარაში ჩააწყო, გამოემშვიდობა და წავიდა მხიარულად: მიდის და მიიმღერის. უხარია, რომ მოხუცი მოატყუა.

ყვავი ფრენით მიჰყვება და ჩხავის: — დამაცა, ეგ შენ არ შეგრჩება!

ამერიკელი დაილალა და თან მოსწყურდა. ტომარა ბუჩქის ძირას დატოვა და წყაროს მოსაძებნად წავიდა. როგორც კი ხეებს მიეფარა, ყვავი ტომარასთან მიფრინდა; გახსნა თოკი, ტყავები ამოიღო, ტომარა კი ხავსით გატენა და ისე შეკრა, თითქოს არავინ მიჰკარებიაო. ტყავები თანდათანობით ბაბუას კარავთან გადაზიდა და ზღურბლზე დაალაგა.

ამ ხნის განმავლობაში მოხუცმა ყალიონის გაწყობა მოიწადინა.

— მოდი, ერთი, გავტენო ყალიონი ახალი თამბაქოთი და ვნახო, როგორია ჩემი ახალნაყიდი თამბაქო.

მოსწია... რა საძაგელი გემო აქვს?! თითქოს ყალიონში თამბაქო კი არა, ნესტიანი ხავსი იყოს!

ხომ არ მომატყუა იმ არამზადამ? — გაიფიქრა ბაბუამ. ახლა ჩაი აიღო და უყნოსა, ჩაის დამპალი ფოთლების სუნი ჰქონდა.

— მართლაც მომატყუა! — გაჯავრდა მოხუცი, კარავიდან გამოვარდა და რას ხედავს: მთელი მისი ტყავები, რაც ვაჭარს მიჰყიდა, ზღურბლზე აწყვია!

ბაბუამ თვალები მოიფშვნიტა.

— სასწაულია! ჩანს, ჩემმა მხეცებმა იგრძნეს, რომ მატყუარას ხელში მოხვდნენ, გაცოცხლდენ და ისევ ჩემთან დაბრუნდნენ!

მოხუცმა ტყავები აკრიფა და კარავში შეიტანა.

ამერიკელი კი ამ დროს თავის გემზე დაბრუნდა. ტომარა გახსნა და ვაჭრებს უჩვენა:

საჯარო ბიბლიოთეკა

— ნახეთ, რამდენი ბეწვეული მოვიტანე და რა იაფად! სულ თეთრი მელიები, ყარყუმი და წავებია.

- გახსნა ტომარა, გამობერტყა...

და ტომრიდან ბლუჯა-ბლუჯა ყვითელი ხავსი დაცვივდა. გაოცდა ვაჭარი:

— ეს რა არის? ჩანს, ამ ტაიგაში ჯადოსნები ცხოვრობენ, რომლებიც ბეწვეულს ნაგავად აქცევენ.

ყვავი კი ზღვის პირას მაღალ ფიჭვზე იჯდა, ჩამოსცქეროდა ვაჭარს და იცინოდა.

თარგმნა **ფ. ნიშნიანიძემ**

მედეა კახიძე

ფისო და მურია

ფისომ ჭუკებს შესჩივლა:
— სწორედ უცნაურია,
შეხეთ, როგორ უეცრად
გაიზარდა მურია!
წკმუტუნით და ყეფითა
თავს ასე რად გვაბეზრებს,
ხომ დიდია ისედაც,
რატომ დგება თათებზე?

ერთად ვათამაშებდით
ბაწრის გორგალს შარშანაც,
მიკვირს, რატომ შემომწყრა
მეგობარს და ამხანაგს?

მიკვირს, ახლა, ნეტავი,
რად მიყურებს მტრულადა?
ჩემს საკუთარ ეზოშიც
ვერ დავდივარ გულადად.
მურამ უთხრა: — რატომ გშურს,
მე რომ შენზე დიდი ვარ:
და მალხაზთან ერთად რომ
საბანაოდ მივდივარ?

კარგად იცი, არაფერს
არ გიშავებს მურია,
მაგრამ ვერ გიმეგობრებ
ბრაზიანს და შურიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 წელი შესრულდა ნორჩი თაობის საყვარელი პოეტის შიო მღვიმელის გარდაცვალებიდან.

„ძია შიოს“ ლექსებს, რომელზედაც აღიზარდა მრავალი თაობა, ახლაც გატაცებით კითხულობენ ბავშვები.

შიო მღვიმელი

მუსიკა გ. კოკელაძისა

პაწია მერცხალი

მე პაწია მერცხალი ვარ
მოჭიკჭიკე, მოალერსე;
ნეტავი რა დაგიშავე,
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?

სიყვარულით, სიხარულით
მთები, ზღვები გადმოვლესე,
სანამ შენთან მოვიდოდი,
ერთხელაც არ დავიკვნესე.

შორით თვალებს გიკოცნიდი,
ცის ლაჟვარდში ვსრიალებდი,
ვჭიკჭიკებდი, შეგამკობდი,
სულ შენ შემოგტრიალებდი.

ცხრა მთა-გზიდან მომავალი,
მოქანცული, მოღალული
დაბლა-დაბლა ვეშვებოდი,
შენ გეძებდა ჩემი გული.

აი, მოველ, დაგინახე,
გულში ია-ვარდი ვთესე,
ავჭიკჭიკდი უფრო ტკბილად,
ხმები გავიუკეთესე.

გეფიცები და-ძმობასა,
მხოლოდ ახლა დავიკვნესე,
არ გრცხვენია, უმიზეზოდ
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?



საჯარო ბიბლიოთეკა

ნ 22/12 ხ. 13/24.
7
ГОСПУБЛИЧ Б.КА
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი უ. ჯაფარიძისა

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ალ. ვეფხვაძეს — ფასი 2 მან.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

Д И Л А—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 1, Январь 1954 г. Тбилиси, Ленина 14.
საბლიტგამი. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 3-37-38
გამომც. შეკვ. № 405 სტამბის შეკვ. № 1406/2658 ტირაჟი 15.000 უე 13500